კვირა, 20 მარტი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 10 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типография Т-ва „Шрома“. Теофилу Ерастовичу Болквадзе.

* * *

დავმარხეთ... ლოდი დავადეთ,
ზედ ამოვჭერით წარწერა:
„სიცოცხლე იმედს დასტირის...
მო, ნახე, ვისაც არ გჯერა!“
სიცოცხლე თუმც ისევ ჰფეთქავს,
მაგრამ თან ბორკილს ატარებს,
ამის მოწმეა დემონი,
მაღლობზე რომ სდგას, ხარხარებს.
ძვლის ჩონჩხსა ხელში ცელი აქვს,
ის მსახურია დემონის,
იმისი ნებით ნათრგუნი
სიცოცხლე სიკვდილს ემონვის...

ვარდისა ბუჩქი დავრგეთ
ჩვენ სამარისა პირათა,
გვსურდა რომ იმას მოესხა
ტურფა ყვავილი ხშირათა.
ეს იყო გაზაფხულის პირს ..
ბუჩქსა ვუვლიდით და ვრწყავდით,
გვეგონა მასზედ მაისში
ჩვენ ვარდებს დავინახავდით.
არ აგვისრულდა წადილი
ბუჩქი ეკლებმა შემოსეს,
ძალიანც შეეფეროდა
ავის დემონის გემოს ეს:
ეკალი — ტანჯვის ემბლემა,
სიკვდილის მოციქულია,
სიცოცხლის თვალი ვარდია,
მაგრამ ის დაჩაგრულია...

ამისა მოწმე დემონი
მაღლობზე სდგას და ხარხარებს.
სიკვდილმა ფრთები გაშალა...
სიცოცხლე ბორკილს ატარებს...

ნ. ზომლეთელი.



ნ. ზომლეთელი.

ნოე ზომლეთელიც (ნოე ქურიძე) ვერ ასცდა საერთო ბედისწერას და როგორც ყველა ჩვენი „ჩაგრულთა პოეტები“ მანაც უკიდურეს სიღარიბეში გაკვართა თავისი ქნარი. როგორც ყველა, ნოე ზომლეთელიც ღარიბ დედმამის შვილია. ის დაიბადა 1881 წელს სოფელ ზომლეთში (გურია). მამა მისი, თუმცა ამ დროს ვაჭრობას ეწეოდა, მაგრამ სიღარიბეს მაინც ვერ ახწევდა თავს. სამაგიეროთ

ნაცნობები ბევრი ჰყავდა. ამ ხანად აკეთში მასწავლებლათ ყოფილა არსენ წითლიძე, მას კარგათ იცნობდა თურმე ნოეს მამა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ არსენს ბავშვი მოანათვლიეს. სწორეთ ამ გარემოების წყალობით შესდგა მან ფეხი სწავლის გზაზე. ნოეს მამა ძველი ზნე ჩვეულების კაცი იყო და გულით უნდოდა შვილი ვინმე თავადისთვის მოენათლიებია, მაგრამ დედა არ დაეთანხმა. ნოეს ცხოვრებაში გამოსვლა და სწორ გზაზე დადგომა სავსებით უნდა მიეწეროს პატივცემულ არსენ წითლიძეს. ის ამ დროს მოღვაწეობდა სოფლის სკოლაში და მთელ თავის ენერგიას ახმარდა ხალხის განათლებას, როგორც გამოცდილმა მასწავლებელმა მან ყურადღება მიაქცია პატარა ნოეს და რა აღმოაჩინა მასში უტყუარი ნიჭი, მოინდომაეს ეწავლებინა რამე. ამ მიზნით 1887 წელს არსენმა თან წაიყვანა პატარა ნოე (მაშინ ის ექვსი წლის იყო) ს. ფარცხმაში, სადაც ის ვადაყვანილ იქნა მასწავლებლათ. აქედან არსენი ბასილეთის ორ კლასიან სასწავლებელში გადავიდა და ნოეც თან გადაიყვანა. აქ დაასრულა მან სასწავლებელი 1892 წელს. სიღარიბეში დაბადებულ ნოესთვის განუყრელი მეგობარი შეიქნა უკიდურესი გაჭირვება ის მას ერთ წუთსაც არ ანებებდა თავს. ცუდ პირობებში ჩავარდა ის, როცა არსენ წითლიძე ს. ხვარბეთში გადაიყვანეს და ნოე მარტო დარჩა ბასილეთის სკოლაში. ბასილეთში მას ჰყავდა შორეული ნათესავები და რომ იოლათ გამოსულიყო ხშირ-ხშირათ დადიოდა ერთი მოყვრიდან მეორესთან თავის ბარგ-ბარხანით. სიღარიბის გამო ნოე იძულებული იყო სკოლაშივე დაესწავლა გაკვეთილები, რადგან წიგნები, საწერ-კალამი და სხვა სასწავლო ნივთები მას არ ებადა. სწავლაში პირველობას იჩენდა. თავიდანვე მისი იდეალი იყო მასწავლებლათ გახდომა. ასეთსავე რჩევას აძლევდა არ. წითლიძეც. სოფლის სკოლა ადრე გაათავა. უნდოდა საოსტატო სემინარიაში შესულიყო, მაგრამ 16 წლამდე არ მიიღებდენ. ამიტომ ის იძულებული გახდა სახლში დარჩენილიყო. ამ ხანაში ნოეს ცხოვრება არა სასურველ ფორა მას ღებულობს, ის ხან ძროხებს უდგას, ხან სახლში აკეთებს სხვა საქმეებს. მამა იმ აზრის იყო, რომ ბავშვი სახლში დარჩენილიყო და ოჯახში ემუშავნა. ამ არა სანატრელ მდგომარეობიდან ნოე გამოიყვანა ერთმა გარემოებამ, ამ დროს ს. აკეთში გაიხსნა წიგნთ საცავ-სამკითხველო. 1894 წელს ნოე დანიშნეს ამ სამკითხველოში. სწორეთ აი აქ დაეწაფა ის წიგნებს და თავის პაწია გონებრივ სალაროში დიდი განძი შეიტანა. ნოე ხარბათ კითხულობდა წიგნებს, ბიბლიოთეკა ამ მხრით ძლიერ მდიდარი იყო, თუ პატივცემულმა არ. წითლიძემ პირველათ დააყენა ის სწორ გზაზე და მის მომავალ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ მხრით არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის მეორე პატივცემულ პირს აკაკი გეგეჭკორს. ის ამ დროს მასწავლებლათ იყო. ს. აკეთში. მან დაიახლოვა ნოე, ურჩევდა წიგნებს, ებაასებოდა და თავისუფალ დროს ასწავლიდა. თუმცა ნოე აღარ ფიქრობდა სემინარიაზე. მაგრამ აკაკისთან დაახლოებამ ეს აზრი ისევ აღუძრა მან გაანდო აკაკის თავის გულის წადილი. როგორც კეთილი და პატიოსანი კაცი ის ყურადღებით მოეპყრა ამ გარემოებას. 1896 წ. მან წაიყვანა ის დ. ხონში მოამზადა მუქთათ, თავის ხარჯზე და სემინარიაში ეგზამენი დაატერინა. სემინარიაში კურსი 1900 წელს დაასრულა ნოემ. მას აქეთია ის დღემდე ეწევა სოფლის მასწავლებლის მძიმე უღელს.

1908 წელს ვერც ის ასცდა ცნობილ ტოლმაჩევის რისხვას .. და გაძევებულ იქნა გურიიდან, გადავიდა სამეგრელოში და დღესაც იქ მასწავლებლობს. ლექსების წერა ნოემ პატარაობიდანვე დაიწყო, როცა ბიბლიოთეკაში მსახურობდა, ყველაზე მეტი ქართველ პოეტებში აკაკი მოსწონდა და უფრო კი მისი „თორნიკე ერისთავი“. სწერდა სემინარიაშიაც. ერთი მისი ლექსი პუშკინის ასი წლის იუბილეზე წაკითხული, დასტამბულია სადღესასწაულო კრებულში, რომელიც 1899 წელს გამოიცა სამასწავლო ოლქის მზრუნველის მიერ. როგორც ზემოთ ვსთქვით ნოეს იდეალი იყო მესწავლებლობა. ის აღწევს მიზანს, მაგრამ ჩქარა მას ეს ველარ აკმაყოფილებს, მას რაღაც სულ სხვა უნდა. ის გამოურკვეველ მდგომარეობაშია. ამ დროს მას ითრევს პესსიმიზმი... და აი 1905 წელიც, მის წინ ცხოვრების შავი მანდილი ეხდება და ნოესთვის აშკარა ხდება ყველაფერი, ის ხელმეორეთ იბადება. ამ დღიდან ბოლო ეღება მისს პესსიმიზმსაც, ის ხარბათ ეწაფება ყველაფერს, სურს წინსვლა, განვითარება, მაგრამ... მისი განუყრელი მეობარი გაჭირვება არც აქ შორდება და უკან ეწევა. მასწავლებლის მძიმე მოვალეობა, ოჯახი და სხვა მძიმე უღლათ აწვება თავზე.

ნოეს, როგორც პოეტს საზოგადოება იცნობს, 1906 წლიდან. მისი აშკარათ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაში სხვებზე ნაკლები ღვაწლი არ მიუძღვის პატივცემულ ლეო ნათაძეს. როგორც მახსოვს 1906 წელს ნოემ გაზეთ „ლამპარში“, რომლის ხელმძღვანელიც ლეო იყო, გამოგზავნა თავის პირველი ლექსი, ლეოს ისე მოეწონა ეს ლექსი, რომ გაზეთის საშვალებით აცნობა კიდევ სწერეო. პირველი ლექ-

სი დაიბეჭდა, მას მიჰყვა მეორე და ამ გვარათ სადღაც სოფლათ მიმალული მასწავლებელი—ნოე საზოგადოებამ გაიცნო როგორც პოეტი ნოე ზომლეთელი. მას აქვთია ნოეს კალამი არ დაუშვია, სწერს დღიურ და კვირეულ გამოცემებში, საუკეთესო მომავალი და ამ მომავლისთვის ბრძოლა—აი როგორ გაჰყივის მისი დაფი და ნალარა. პოეტს გულს უდუღებს ღღევანდელი სულის შემხუთველი პირობები, მისი ქნარი კვნესის, ცრემლებს აფრქვევს, მაგრამ ამავე დროს მას მტკიცეთ სწამს, რომ დადგება უკეთესი დრო, და მისი კვნესაც გმირულ ხმებათ შეიცვლება. ყველა მისს ლექსებში ეს რწმენა მაგრათ ჩაქსოვილია. ცხოვრებამ მას შხამ ნაღველი ასვა, დედინაცვლობა გაუწია, მწყემსობიდან დაწყებული მასწავლებლობამდე მან სავსებით იგემა მისი მწვავე კლანჭები, მაგრამ ქედი მაინც ვერ მოახრევინა, ვერ ჩაჩუმა მისი მომავლისათვის ყიჟინა. ნოე ჯერ სულ ახალგაზდაა 30 წლის, თუმცა ცხოვრება ისევ დედინაცვლობას უწევს, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის მაინც წინ მიდის. აქ ჩვენ არ შეუუდგებით დაწვრილებით მისი ლექსების დაფასებას, ეს კრიტიკოსებისთვის მიგვინდვია, ვიტყვით მხოლოდ რომ მისი ლექსები ღრმა აზროვანია და ენაც მუსიკალური.

ინ—

* * *

ღამის წყვდიადმა შესუდრა სხივ-მნათი ცისა კამარა,
რწმენის ყვავილი დააჭკნო, იმედი დაასამარა,
სულის წარმტაცი სიმბოლო უკვდავი სიყვარულისა
გოლგოთის ჩრდილათ აქცია, შავ სვეტად ამართულისა.

დრო გაიყინა, გაქვავდა ცვალებადობა ჟამისა,
მიდუნდა მაშვრალთ სავანე, წყარო ძალთ დასაბამისა,
საამო ზრახვით ღელვილი სულის კვეთება გმირისა
ყრუდ განიავდა ვით კვნესა მწუხრის ჟამს ანატირისა.

თითქოს ქვესკნელის მფლობელი დაეპატრონა ზენასა,
ფრთა შეეკვეცა სურვილის კაღნიერ აღმაფრენასა,
ელეგიურმა გულის თქმამ დასწყვიტა გრძნობის სიმები,
გლოვამ მოიცვა სოფელი, ხან-მოკლეთ განაღიმები...

—

ოცნების სრიალს გავყვები, სწრაფვას დავიტკბობ წმაისას,
დავტოვებ აწმყოს ჯმაღლოს, ბურუსს გავაპობ ღამისას.
დაკოდილ სულის აჩრდილად მომავალს მოვევლინები,
რომ მას მოვტაცო ჩაგრულთთვის სამოციქულო ჰიმნები.

ვნახავ სრულ-ყოფას რწმენისას, გონებით მიუწდომელსა,
ვიხილავ ბრძოლის ახალ ზღვას, სტიქიონს დაუცხრომელსა.
ჩანგზე ავაწყობ სიმღერას, ღვთიური ცეცხლით წრთობილსა,
შიგ ჩავაქსოვებ ხსნის იმედს, ოცნების მხარეს შობილსა.

და დედამიწას მოვასმენ მომავლის გამოძახილსა,
სასოწარკვეთილთ აუწოებ წინსვლის ციურსა სახმილსა;
იმედის ვარსკვლავს მოვუვლენ ლოდინით განამწარებსა
და მებრძოლთ შემოსაკრებად ჩამოვკრავ ღილის ზარებსა!

ს. აბაშელი.

სფინქსი

(მინიატიურა)

— შენ არ გეძინება, დამადე თავი კალთაზე მე ზღაპარს გეტყვი, ცხოვრების ზღაპარს სევდით დაწერილს, ცრემლით ამოქსოვილს.

— ეს მაშინ იყო, როცა ქარიშხალი, როგორც ეხლა სევდიანად ქვითინებდა, მწუხარებით სცემდა ფანჯარას ფრთებს და სევდიან ამბებს, ცხოვრების ზღაპრებს უამბობდა ქვეყანას, მაშინაც როგორც ეხლა არავის ესმოდა რაზე ლაპარაკობდა მწუხრის ზეფირი, მხოლოდ სევდიანი და გულსაკლავი იყო მისი მოთხრობა. ფანჯარასთან წვეროები დაეღუნათ და იცრემლებოდენ მაღალი ჩაყვითლებული ნაძვები სევდიან გაცრეცილ ცას ობლობას შესჩიოდენ. სპეტაკი სუდარა ზამთრისა მოეძრო გაზაფხულს და სიცოცხლის საზღვრიდან მოდიოდა ფერგამკრთალი ...მაშინ სცოცხლობდა ქვეყნად პატიოსანი მხედარი. ბრძოლის ველზე თავისუფლების ქურუმმა საუკუნო ძილი ჰპოვა. სახე მიხდილი სდარაჯობდა მის გვამს სიკვდილი, თითქო ეშინია ან უდაბნოს არ მოიტაცოს, ან სისხლის ნიაღვარმა არ წაიღოსო, ჩონჩხების ქნარზე მღეროდა სიკვდილი გამარჯვების ჰანგს, რომ მოფრინდა ქალწული გედის ფრთებით. კალთაში გაიხვია, თეთრი ფრთები მოაფარა და წაიღო ტანჯული სული.

ამ დღიდან მომაკვდავი უკვდავს უსმენდა.

საუკუნოები საუკუნეთ მისდევდა და ეს იყო მისთვის, როგორც ერთი წამი, მან იცოდა რაც ხდებოდა ქვეყნად, სად ან როდის.

ის მოწამე იყო ანგელოსთა ქცეული შეყვარებულთა ჩურჩულისა, სისხლის ღვრის და საშინელების საყვირის ცემისა. მისი სევდიანი აჩრდილი ცაზე ყველასგან განირჩეოდა, ვარსკვლავები ერთი მეორეს უთითებდენ მაზე. მომაკვდავი მეორე ღმერთად იწამეს.

დიდების ეტლში უკვდავებაში ჩასვენებული ვინ იცის სად არ მიაჰქროლებდა ...მაგრამ მოსწონდა სულის უკვდავება, უფალმაც შეამჩნია მისი მოწყენა და ნაღველის მიზეზი ჰკითხა.

— უფალო, მე არ მინდა უკვდავება, რადგან იგი განგრძელებაა ადამიანის ცხოვრებისა და ყოფნის სევდა არას დროს არ მოალხენს სულს. მე მომწყინდა ვარსკვლავების ცქერა, რადგან ისინი რაც გუშინ იყვენ ისე იქნებიან საუკუნოების შემდეგაც, იმავე სიტყვებს გაიმეორებენ შეყვარებულნი და არას დროს ერთი მათგანიც არ ასრულდება და სადაც არის ადამიანის ცრემლი შენ ცის კიდესაც შესძრავს. სულს მოსწყინდა ერთსახეობა მარადიული... უფალს ეწყინა კაცნიერი სიტყვები ტანჯული სულისა და ქვად აქცია იგი. უდაბნოში ძევს ეხლა ის უმოძრაოდ მჭკუნვარებაში გაქვავებული უკვდავია, მაგრამ ეს გრძნობა მასში დამარხულა. ერთ დონეზე არის სამუდამოდ ნისი სახის ნაკვთები, ის სდუმს და მდუმარებაში გამოიხატება მისი სიდიადე, ძლიერება.

უდაბოოს ქვიშა ახურებს მის გულს, მაგრამ არას გრძნობს სფინქსი. ის უტყვი პროტესტია ტანჯული სულის უფლისადმი.

ტ. ტაბიძე.

მზის ასული.

(დრამატიული პოემა)

(გაგრძელება*).

II

(ნესტანი სარდაფი. მგოსანი თავისი ამხანაგებით, რამდენიმე მუშა ქალები და მამაკაცები ცხარე კამათში არიან).

პირველი მუშა.

დიახ. აგრეა!..
ვიბრძვით და მაინც ხსნა არსით არი,
ცხოვრება ჩვენთვის ძმავ სამარეა,
ტანჯვას არ უჩანს კიდე-საზღვარი.
ქარხანის ქვაბში ვიწვით დღე-მარად,
მზე თუმცა ნათობს, ჩვენ ველარ გვწვდება,
ამ წუთის სოფლად ვითელებით არად,—
აღარც ცას ესმის ჩვენი გოდება.
ჩვენით ფუფუნებს ფლიდი ბატონი,
მუშებს კი სული შიმშილით გვხდება:
უკუღმართ ქროლვით მიჰქრიან დრონი,—
გული გვიკვდება!

მგოსანი.

ნუ დაღონდებით, სუფევს საზღვარი
ძალ-გიძთ რომ სძლიოთ თქვენი მჩაგვრელი,—
ხშირათ ხმას იცვლის ცხოვრების ზარი,
ცვალებადია ქვეყნად ყოველი!
დასაბამიდან ამ ცვლილებისა
მიზეზი იყო ადამიანი,
სურვილი სწვავდა მისწრაფებისა,
გასაჭირს სძლევდა გრძნობა ფხიანი.
თქვენც ვერ აუხვევთ ვარდუალ წესებს,—
ერთხელც იქნება ბედისა გრდემლი,
შურის-გებისა ცეცხლს დაკვესებს,
შესწყდება გლოვა... გაშრება ცრემლი!

მეორე მუშა.

ოჰ, სულ ლოდინი, მარად ლოდინი!
როდის-ღა მივხდეთ სინამდვილესა?

---

*) იხ. „სალამური“ № 9).

გულის ბადეში ჩამქრალა ჟინი,
იმედის სხივი ვგრძნობ ჩაილესა.
ძალა გველევა: სულსა გვიხუთავს
დუხჭირ ცხოვრების ჩარხის ტრიალი,
სისხლის ნაკადებს მდელო მოურწყავს,
საფლავსა გვიღებს ხვედრი ტიალი
გესმით მწუხრის ჟამს სარდაფებიდან
მწარე სიმღერა გულის დანწველი?
ეს მუშა სტირის თვის უბედობას,—
ღამითაც შხამავს ოცნების გველი.
ეგ ტირილია, უმწეო ზარი,
სულის სიღრმიდან ამოღებული,
მსხვერპლებს მიჰკვნესის მიუსაფარი,
საფლავებს უმღერს დაობლებული.

მესამე მუშა.

ახ, რად ამიშლით ისევ სევდებსა!
ადრევე ვიცით ხომ ეს ამბავი?—
მიდით, ჰკითხევით დაღუპულ ძმებსა,
მეტსაც გიამბობთ მათი საფლავი!
ისტორიისა საშინელებას
სოფლის ტრიალი ზედ აწერს ლოდებს,—
ბევრი რამ ესმის თვით უკვდავებას,
უსულო ძეგლიც მოსთქვამს და ჰგოდებს.
ხშირად ჩვენგანვე განმეორდება
დავიწყებული, ძველი სიმღერა,
წარსული აწმყოს არ მოშორდება:
ძლიერად ჯაჭვავს კაცთ ბედის წერა.
თანაც ყოველი განვლილი ჟამი
ცხოვრების გზაზედ, აღბეჭდავს კვალსა,
მას სიტკბო ახლავს, ბევრიც ვარამი:
საერთო აწმყო ჰქმნის მომავალსა!
არსებობს ხალხი—არსებობს ტანჯვა,
ერთი, მეორის მკვიდრი შვილია,
ტანჯვა შობს—შვებას, შვება—ტანჯვასა,—
ერთგვარ ყოფაში მხოლოდ მღილია.
თუმც იგიც იბრძვის არსებობისთვის,
აღარ ასვენებს მიწა ნაგავსა,
მაგრამ დღისითა რასაც გაქექავს
ღამითაც იმას აფარებს თავსა.
იმან არ იცის რა არი წინ-სვლა,
ფუჭია მისთვის დილა მზიანი...
მხოლოდ სულ სხვაა კაცი მოაზრე,
სხვა-გვარ ჰქმნილია ადამიანი.
მან აზრით აწმყოს უნდა დაშორდეს,
გარდაივიწყოს წარსული ჭირი,
საქმით, დროს შვილმა დროს გაუსწორდეს,
მომავალსთან კი, ჰქონდეს კავშირი!

მეოთხე მუშა (ირონიულად).

ფილოსოფოსობს!.

მგოსანი (უურს მოჭკრავს).

კიდეც ასე სჯობს!
განა მუშასა არ კი შეჰფერის?..
ეჰ, ჩემო კარგო, ვინაც მაგრე ბჭობს
ის უკეთესართსა სიმღერას მღერის!

მეოთხე მუშა.

მეც გეთანხმებით... მაგრამ ეგ კითხვა
აღარ გვქირია თანაც არს რთული,
საქმეს შევუდგეთ...რაც ერთხელ ითქვა
მიეცეს ბარემ მას დასასრული.
არ ვიცი როდის, მხოლოდ მახსოვს კი
ხალხში გაისმა ვითა ზღაპარი
რომ, უკანასკნელ განკითხვის დღისთვის
ემზადებაო მუშათ ლაშქარი.

მეხუთე მუშა.

გვითხარი რისთვის?..

მეოთხე მუშა.

ვმსჯელობთ ამისთვის!
ჩვენი მგოსანიც გვეტყვის რამ რჩევას.
თუ კი თავს დავსდებთ მთელი ქვეყნისთვის
მრწამს მომავალი გვარგუნებს ძლევას
მაშ ყური მიგდეთ!..

თურმე ბორბალი
წუთისოფლისა, უკეთესმა ბრუნავს,
დროთ-ვითარებას მიუძღვის ბრალი
რომ სიცოცხლესა სიკვდილი ჰღუნავს.
უკვდავებისა საამო წყაროს
ავ-სულთა რაზმი ჰყოლია მცველად,
არავის ძალ-უძს რომ მიეკაროს,—
ხმალს ვერ აღიღებს შესაბრძოლველად.
მით სარგებლობენ მხოლოდ რჩეულნი
განცხრომის შვილნი, მდაბალნი სულით
ლხინს განიკდიან,—ოდეს ძლეულნი
სისხლსა და ბალღამს ანთხევენ გულით.
ქვეყანა პირველ სხვა-გვარად ქმნილა:
არსებობისთვის ვინც გაჩენილა,
ყველას ჰქონია იმაში წილი,—
ის კაცი იყო თუ სუსტი რწყილი.
ბუნების წესით: ადამიანსა
არავითარი არა აქას ნება
დატეჭსოს სუსტი, ან მოქმედებით
მას მიაყენოს რაიმე ვნება.
მაგრამ ვით ვხედავთ, რაღაც ნაირად
მთლად შეუცვლიათ წესი და რიგი,
ვინც გარდალახა ეს კანონები
სოფლის დიდებას ჰფლობს მხოლოდ იგი.
ბუნების არსნი ამ სამოთხიდან
განუდევნიათ ვით ცხვრისა ფარა,
ზიზღით დაჰყურებს მათ მაღლობიდან,—

მისიენ მსგავსთა მეფე გამხდარა.
რწყილებს ვინ უწევს რამ ანგარიშსა?
მათი ადგილი უპირავს კაცებს,—
ფეხებით სრესენ უსუსურთ ჯიშსა,
მეტყველი უტყვსა სიცოცხლეს სტაცებს.
თუ რომ მოუნდათ, მეტყველ კაცებსაც
წაშების ბოძზე ჩამოჰკიდებენ,
და, მათი ტანჯვით აღფრთოვნებულნი
ნეტარ სიმღერას ამოჰკიდებენ.
განა თქვენ ძმებო, ცოტა გინახავთ
ამის მაგვარი მაგალითები?
ჰაი, ჰაი რომ თვით დაგვიმარხავთ
აგრე დასჯილნი, საბრალო ძმები!

(ამ დროს ვიღაც კარებს აკაკუნებს. შემოდის წყლში მოხრილი, ზამთარ ავაშლარი მოხუცი ქალი. მეტი სასუსტისაგან წასაქცევთ ქანაობს).

მოხუცი ქალი.

შვილებო! კეთილ სიცოცხლე თქვენი,
არ წაგხდენოდეთ ჩემსავით დღენი!..

(ფეხზე დგომა უჭირს და აქეთ-აქეთ იცქარება რომ დასაჯდომი ჭმოვოს. მგოსანი შენიშნავს და სკამს მიუტანს).

მგოსანი.

დაბრძანდით დედი!..

მოხუცი ქალი.

ოჰ, ცის იმედი
არ მოგკლებოდეს კეთილო შვილო:—
სრულიად მოვტყდი, ქალი მოვხუცდი
და მომაკვდავმაც უნდ ვიცოდვილო,—
სხვაც შესაწუხო!..

მგოსანი.

რა გიჭირს დედი?

მოხუცი ქალი.

მტერს დაემართოს ისეთი ჭირი!
საცოდავობას ველარ გავუძელ
და გავიტეხე ნამუსი, პირი!..

მგოსანი.

როგორ? რა რიგათ?

მოხუცი ქალი.

რადა და იმად:
ობლები დამრჩა შვილის შვილები,
შიმშილ სიკვდილ მეხოცებიან;
უპატრონოთა დაცვენილები
მარად პურს მთხოვენ, მევედრებიან..
მე მათი საზრდო-საკვები კი არ,
თითქმის არა მაქვს თავ შესაფარი,
და, რომ ბალღებსა ვუშველო რამე
მთხოვრად დავდივარ დღე-განამწარი.

მგოსანი.

ეგ უბედობა როდის შეგემთხვათ,
რითი მოგიკვდათ შვილი და რძალი?

მოხუცი ქალი.

კაცთა სიავემ შავით შემმოსა,
ოთხ შვილის დედა, ის ჩემი რძალი,
დუშმნებმა მოჰკლეს გაფიცვის დროსა.
შვილს საპატიმროს მოუღო ბოლო,
ცივ კედელთ შორის დალია სული,
მე კი, მე ვაჰმე, უკან ჩამოვრჩი
ბედ უკუღმართი, სიცოცხლე-კრული!
აწ კარ და კარა დავეხეტები
რომ გამოვკვებო მათი ბალღები,
მაგრამ მეც მალე უკან გავყვები,
მოისვენებენ ტანჯული ძვლები.

მგოსანი (ამხანაგებს).

ძმებო! აწ დროა ვსცნათ ჩვენი ვალი,
ვანუგეშოთ ეგ საბრალო ქალი!

მესამე მუშა.

ჰა, ჩემი წილი!

მუშა ქალი. (მწუხარედ).

როგორა გვსრესენ, ვაჰ ჩვენი ბრალი!..
ვინ იცის გმირო, ეგებ ტანჯვის ჟამს
როს უფატრონოდ სული გხდებოდა,
გულით ნატრობდი ცოლ-შვილის სალამს,
უმწე ბალღები გელანდებოდა?
ვინც იცის: ეგებ გრჭნობა-მიხდილი
საყვარელ მოძმეს უშვერდი ხელსა,
მაგრამ სიკვდილის შავი აჩრდილი
წინ გაგემებდა გაბასრულ ცელსა?
ეგებ ღიმილით ესალმებოდი
მტკიცეთ შეფიცულს იდეალს შენსას,
მტერს კბილთა ღრჭენით ემუქრებრდი,—
წყევა და კრულვას ესროდი ზეცას?

(ანთებული).

ოჰ, საზიზღარნო, შავო კედლებო
ის, ბწარე ფიქრებს თქვენ გაბარებდა!

(ამხანაგებს).

ჩვენ კი, იმ დროსა რას ვგრძნობდით ძმებო
როს მტერი მოძმეს ასამარებდა?
ჩვეულებრივათ, მშვიდათ და ნელა
ხმას ვაყოლებდით ქარხნის საყვირსა...
ახ, ლაჩრები ვართ, ლაჩრები ყველა,
ხშირად ვერც ვისმენთ ძმის გასაჭირსა!

(მოხუცს, რომელიც ქვითინებს).

დედი, იტირე, იტირე მარად,
შენი ვაჟკაცი ველარ აღსდგება,—
მწარე ქვითინი გვასმინე ზარად,
რომ ახმაურდეს შურის-ძიება!

მგოსანი (მოხუცს შეგრძოვად ფულების ძალეკს).

ჰა, ჩემო დედი, ხუთი მანეთი,
მეტი არა გვაქვს, მოწმეა ღმერთი!
ერთი ჩვენგანი სახლში მიგიყვანს,
კარგად ისწავლის სადა გაქვს ბინა,
შემდეგ პორის ფულს მარად მოგიტანს,—
მოვემზადებით ჩვენ წინდა წინა!

მოხუცი ქალი (სრულიად გამოცვლილი).

გმადლობთ შვილებო, გულ-კეთილებო
რომ დამიიმეთ ტანჯული სული;
კარგი საქმეა რომ შეგიგნიათ
ბედით განწირულ ძმათ სიყვარული;

(უცბათ თვალებს გაუტეტეს, ერთ წერტილს მიაშტერდება და კიდოს სულ გამოაცვლის).

ჩემი ვახტანგი!!!
შვილო, ვმადლობ ღმერთს რომ კიდევ გნახე!—
აი, შეხედეთ!... თქვენთან მოსულა...
გამხდარი კი აქვს ოტეთი სახე!..

(ჩუენებს).

ალბად გაწამეს მუხანათ მტრებმა,
სრულად იხმარეს თავისი წესი...

(სკამიდან დგება, და ხედ-გაშლით მასკენ მიაწეკს).

მაგრამ ნუ შიშობ... წყლულს დაგიამებს
ერთგული დედის ტკბილი ალერსი,—
ჩამეკარ მკერდში!...

(უნდა ჩვენებს ჩასეგიოს, მაგრამ ჭაერს მასხდტება და ბირქვე დაეცემა. ეგენანი მიგარდებიან და ზეზე წამოაყენებენ. მოხუცი სასიკვდილოდ ცხცახებს, ხანდახან ნაწეკეტ-ნაწეკეტად წამოაყვრას).

აგერ ვახტანგი... ბალღებსა შიანთ ..
მიდი ელენე .. კიდევ სტირიან..

მგოსანი (გაფთორებული).

გამაგრდი დედი, ღონე მიეც!

(ამხანაგებს)

იცით, ცივდება... ტუჩნი უთრთიან,
ვიცოდეთ მაინც საბრალოს ბინა!

მეორე მუშა.

ოტა გრძნობაზე კი უნდა იყოს,—
აბა ჩაჰკითხე შენ ვალენტინა

ვალენტინა (ხმა მადდა).

დედი, სად სცხოვრობ?... რომელ უბანში?
გვითხარ, წაგიყვანთ!.

მოხუცი (ნაწეკეტ-ნაწეკეტად)

ქა-ლა-ქის... ბო-ლოს...

მგოსანი.

ამხანაგებო, მაშ ეტლი ჩქარა!
შინ წავიყვანოთ ეგ უბედური,
შენ ვალენტინა გაჰყევი თანა,—
აღარ დაიკლო გთხოვ სამსახური!

(ერთი მუშა ეტლისთვის გარბის. ოტა ხნის შემდეგ კარებში შემოაძახებს:)

მუშა.

ეტლი აქ არის!..

მგოსანი (ამხანაგებს)

მაშ მომეშველეთ!
ფრთხილად მოჰკიდეთ საბრალოს ხელი;
აგრე, ჰო. აგრე,—გულზე მომაყრდნეთ,—
ერთ-თავად მოსხლტა, არ ერჩის წელი!..

(მგოსანი მოხუცს გულზე მიახუტებს, სხვები მიეშველებიან და ეტლში ჩაუწყენენ. ვალენტინა და ერთი მუშა ავად მეოფს გაჰყვებიან, დანარჩენები კი ისევ სარდაფში დაბრუნდებიან. მცირე ხნის შაუზა. შემდეგ ერთი მუშა გაიარ-გამოიარს და ოვალისთვის დადგინს ამოჭკიდებს).

მეორე მუშა.

ბედის ჭახრაკში გვწურავს სიკვდილი,
აჩრდილათ დაგვდევს ბასრ ცელ-გაწვდილი.
ცა უგრძნობია... მიწა მტარვალი,
თან და თან ჭქრება სიცოცხლის კვალი
ეჰ ჩვენი ყოფის არს ბოლო-მხარე:
მხოლოდ სამარე, მხოლოდ სამარე;

მეოთხე მუშა. (სამღერითვე გადაუწრის).

ბედნიერების თავდები არი
ეგ უბედობა, ცხოვრება მწარი.
მარადისობა იშვის, იწყება,—
სიცოცხლის კოშკი—ბრძოლით იქმნება!
უკვე გვეძახის სხივთა მგზნებარე
აღთქმისა მხარე, აღთქმისა მხარე!

ნ. ჩხიკვაძე.

(შემდეგი იქნება)

სატრფოს

I.

...დიახ, მე მინდა შენ გიცქირო, მოგეალერსო,
ტრფობისა გზნებით, ტრფობის ცეცხლი ვაშუქ-ვა-
კვესო,
სურვილთა ლტოლვით გადავლახო ბედის საზღვარი
ავ-სულთა ღმერთებს დავურეკო სიკვდილის ზარი...
ცისა ეთერში შევსრიალდე—შევინავარდო
თან წარგიტაცო გულის მეფვე ცხოვრების ვარდო,
ვარსკვლავთ სამეფო დაგიმონო, ლაჟვარდი ცისა
და მოგახვიო გარს პორფირად სხივები მზისა.

II.

როს მწუხრის ჟამი გადმოწვება ფრთა გაშლით
ველათ
ხეთა აჩრდილნი უდგებიან სოფელსა მცველათ,

ფრთოსანთ სილაღე ცადა ჰკარგავს სევდიან ჰანგსა
ნაზი სიმთ კრთოლვა დააკვდება სიცოცხლის ჩანგსა.
მაშინ შლილ დალალთ კავ-კულულებს მსურს მოვეხვიო
გავსცდე—გავშორდე შავ ფიქრთა ზღვას, შვებას ვეწვიო,
რომ ლტოლვის გზაზე ჩემი რაში არ შეფორხილდეს
მკაცრ ქარიშხალშიც ვითა ელვა ქროლვითა ვლიდეს.
შენი მგოსანი არ სწყვეტავდეს სიმთ წკრიალ-ჟღერას
წრფელსა ლოცვებში გამოსთქვამდეს უცხო სიმღერას,
თვისსა ღვთაებას, თვის მადონას გიძღვნიდეს ქებას
და იქარვებდეს მით დამდაგველ ცეცხლისა დებას.

III.

და როს ცისკარი ელვის ისრებს შეათამაშებს
ბუნების წიაღს გადაურწევს—შეაქანავებს,
ტკბილის ნანინთ შეაკრთოლებს მშობლიურ არეს
და მიმოფანტავს—მიმოაბნევს ვარამს... სიმწარეს.
მაშინ, ოჰ! მაშინ სულის სწორო, მშვენებავ ქვეყნის,
სიცოცხლის წყარო და ნაკადო შვებათა დენის,
მსურს შენსა ახლო განვისვენო და დავიამო
რომ გულის წყლულის გამკურნავი ვპოვო მალამო ,.
და თუ შენს რაყიფს არ ამიქცევ სავალსა გზასა
ოჰ!... გავკვეთ სივრცეს... გადმოვლახავ ღელვისა ზღვასა.

ბ. პელაშვილი.

რაზე კვნესი!..

რაზე კვნესი, რაღათ მოსთქვამ, რათ სტირი,
ნუთუ შენთვის კვალად ტანჯვის ჟამია,
ნუთუ შენთვის ულრანია ცხოვრება,
ვერ გახარებს ეგ საამო წამია!
რაზე კვნესი, ნუთუ გულის საუნჯე—
სატრფო შენი—მიაბარეს სამარეს,
ან, იქნება, ავათა ხარ გრძნობებით,
მიტომ გხედავ ამრიგად მგლოვიარეს!
ან, იქნება, მეგობარი დაჰკარგე,
ან გლალატობს თავზე ხელ-აღებული,
ან, იქნება, მოსვენებას არ გაძლევს
ძე—ბოროტის დამტკბარ-გალაღებული!..
მარქვი, მარქვი, ნუ მიფარავ ნურაფერს,
იქნებ შევძლო მაგ იარის კურნება,
იქნებ შევძლო მაგ უკეღმართ ცხოვრების
ჩარხის წაღმა ტრიალი და ბრუნება.
წამიკითხე შენი მცირე დღიური,
გადმიშალე, რაც გაქვს გულში ნადები,
რომ გავიგო—რა გიტოკებს სულს და გულს.
შვება, ფიქრი, ეკვები თუ დარდები.
შენი სახე—მარადის მომცინარე—
შავი ლაქით შელესილა, აღვსილა;
თვალთა ბუდე—აქამდისინ მღიმარე—
ცრემლების ტბათ გარდაქმნილა, გავსილა
და თუ გული—შავ ფიქრთა ტყვეთა და მონა—
ვინმემ შესძლო—შებოჭა, დაიმონა,
შეგაყვარა თავი, თვისი სიტურფე,—
შორით დაგწვა, მოგხიბლა, დაგაღონა,
ან თუ სატრფო—სათაყვანო, საქები,
შავს სუდარას შეუმოსავს შავთა,—
გებრალება, ცრემლად დნები, დარდები
სულში გწვდება, ტანჯავს და გხდის ავათა—
შემცდარი ხარ.—მერწმუნე, რომ ეს ცრემლი
ცხოვრების ჩარხს წაღმა ვერ დაბრუნებს,
ვერ მოგირჩენს გულის მწვავე იარას,
ვერ დაგატკბობს და ვერც შვებას გარგუნებს...
მაშ, რათ მოსთქვამ, მეგობარო, რათ სტირი,
რათ გაშინებს მარად ეგ შავი ბედი;
ნუთუ შენში სადგური აქვს სილაჩრეს,
დახშული გაქვს სამომავლო იმედი?!.
თუ ასეა, ვერ იხილავ ნეტარ წამს,
ვერ იგემებ, ვერ შეიტკბობ შვებასა,—
ტომი ლაჩრად მოგიხსენებს უბედურს
და ეგ უფრო გაგიღვივებს ვნებასა!..

—

ნუ, ნუ მოსთქვამ, მეგობარო, ნუ სტირი...
გესმის, ჰიმნი?—დგება სატრფო ჟამია!..
გადალახე ფიქრი, ეკვი, სიმხდალე
და დაგატკბობს „საოცნებო“ წამია.

ლ. დარჩია.

ტარასი ჭახრაკაძე

(მოთხრობა).

შემოდგომის წვიმიანი დღე იყო. ქუჩას, სახლებს, მიმავალ ხალხს, თითქო ყველას სახეზე რაღაც უიმედობა და დაღვრემილობა იხატებოდა, ყველას თითქო სახე ჩამოსტირისო. სახლის სახურავებიდან ჩამონაჟური წვიმის წვეთებიც რაღაც ისე ტყაპა-ტყუპით ეცემოდენ ტალახში, რომ ადამიანს ეგონებოდა უხილავი ძალა კვნესის და თავის მდუღარე ცრემლებს აფრქვევს ძაძით შემოსილ დედამიწასო. თითქოს ქვეყნათ ღიმილი გამქრალიყო, ყველაფერს სევდის დაღი ესვა, მხოლოდ სევდა გაბატონებულიყო, მას თავის ძლიერება ყველგან გამოეჩინა, ყველგან გაისმოდა მისი გულსაკლავი ზუზუნის ხმა. ქუჩაში წვიმისაგან თხელი ტალახი ფაფასავით იდგა. აქა იქ ხანდისხან ვაირახრახებდა

გადმოხურული ეტლი. კოფოზე წამომჯდარი, ტყავის წამოსასხამში თავიდან ფეხებამდე გახვეული, გაწუწული მეეტლე რაც ძალა და ღონე ჰქონდა ერეკებოდა გამხდარ ცხენებს, თითქო უნდოდა გაქცეოდა სევდას, რომ ის არ დასწეოდა. ღია დუქნებიდან დაღვრემილი გამოიყურებოდენ ღიპიანი ვაჭრები და ზანტათ ამთქნარებდენ უსაქმობის გამოსევდას იქაც შეედგა ფეხი, ყველა საქონელს რა. ღაც წვიმის სახე ედო და ისე აღარ იზიდავდა მყიდველს, როგორც წინათ. ვაჭრების სახეზედაც უიმედობა იხატებოდა, ისინი გრძნობდენ რომ ასეთი სევდიანი დღეები სასარგებლო არ იყო მათთვის, ტყუილათ გაიყურებოდენ ქუჩაში, მყიდველი არ სჩანდა. უსაქმობის გამო ზოგი მათგანი წვიმის წვეთებს ითვლიდა და გულს აყოლებდა. ტრამვაის ვაგონებიც ზანტათ მიდი მოდიოდენ, იქაც სევდას დაეჭირა ალაგი. ყოველ ვაგონის ხმაურობაზე ვაჭრები თავს წამოყოფდენ და ყველა თვალები იქითკენ მიაშტერდებოდა, ყველა რაღაცას ელოდა. ხან გამოშვებით ცივი ქარი გლოვის ხმით ჩაუღიღინებდა სახლებს, დუქნის ღია კარებში შეიჭრებოდა, აქა იქ ჩამოკიდებულ ნივთებს შეაპროწიალებდა და ცივათ ეამბორებოდა დაღვრემილ ვაჭარს, ცივათ დაუვლიდა ტანში. ქარი კიდევ უფრო მწუხარებაში აგდებდა ყველაფერს, ყველა კუნჭულებში სევდა შეჰქონდა.

იქნებოდა დილის ცხრა საათი, როდესაც წვიმისაგან დასველებულ, ისედაც მრისხანე კედლებიან საგუბერნიო სატუსაღოს ალაყაფის კარებს თოფიანი ორი სალდათი მიადგა. სევდას მათ სველ ფარაჯებშიაც ჩაეტყოვა თავისი ზხამ-ნაღველი. ჩატალახიანებული წაღები, წვიმისაგან ყურებ ჩამოფლარტული ქუდები და სველი თოფები ორივეს ძალზე აწუხებდა და გულზე ჰკბენდა, მაგრამ არც ერთი შეეძლოთ მოეშორებიათ და არც მეორე. მათ სახეზე სევდას გარდა სხვა კიდევ რაღაც ტანჯვის ბეჭედი ესვა. ყოველივე მათ მოძრაობაში, ყოველ ხელის გაქნევაში რაღაც ძალ დატანება და უკმაყოფილება იხატება. სალდათები ცოტა ხანს შეჩერდენ კარებთან- ერთმა მათგანმა თავისი ფართე, გლეხური ხელით უკმაყოფილოთ ცხვირი მოიხოცა და სველი ფარაჯის სახელოთი გაიწმინდა. ორივეს ეტყობოდა, რომ ლოდინი არ იყო მათთვის სასიამოვნო. რამდენიმე წუთის შემდეგ ალაყაფის კარების გამოსაკვრეტს ვიღაცამ ფიცარი გასწია და ორი ცნობის მოყვარე თვალი გამოიჭყიტა. რა დაინახა სალდათები, საჩქაროთ კარები გააღო. ეს იყო ციხის მორიგი ზედამხედველი. სალდათები შევიდენ სატუსაღოში.

ნახევარი საათის შემდეგ ალაყაფის კარები ისევ გაიღო. სალდათებმა გამოიყვანეს ახალგაზდა, ფერმკრთალი, კაცი.

ეს იყო ტარასი ჭახრაკაძე, სინოდალურ კანტორის ყოფილი მოხელე დღეს ის მიჰყავდათ საოლქო სასამართლოში გასამართლებდათ. მას აბრალებდენ სიყალბის ჩადენას. სალდათები ტარასისთან ერთათ მძიმე ნაბიჯით გაუდგენ ტალახიან ქუჩას.

მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ერთი დღეც არ გამორევია ისეთი, რომ ვინმეს ტარასისთვის მიესწრო სამსახურში. ყოველდღე, საღამოობით, მორჩებოდა თუ არა საქმეს ტარასი ადრიანათ ჩაწვებოდა, იქვე სასთუმალს, სკამზე დაილაგებდა პორტფელს და საჭირო ქაღალდებს, რომ დილა ადრიან მზათ ქონებოდა ყველაფერი. ირაჟრაჟებდა თუ არა, ტარასი ლოგინზე წამომჯდარი იყო, ერთს ლაზათიანათ დაამთქნარებდა, თვალებს ამოიფშვნეტდა და საჩქაროთ დაიწყებდა ტანზე ჩაცმას. საზოგადოთ ტარასიმ ძლიერ ჩქარა იცოდა პირის დაბანა და ტანზე ჩაცმა. დიასახლისიც, ჩვეულებისამებრ ადრე მიართმევდა ჩაის, ტარასი დაივარცხნდა ლამაზათ თმებს, გაიწმენდდა ჩოთქით თავის შეხუნებულ კოსტიუმს, გადიწერდა პიჯვარს და მიუჯდებოდა ჩაის. ჩაის სმაშიც მეტათ სწრაფი იყო ტარასი, რაც უნდა ცხელი ჩაი ყოფილიყო ორ სამ წუთში ხელად გადაუძახებდა კუპში, რაღაც ისეთ ნაირათ იცოდა ჩაის დალევა, რომ გარეშე მაყურებელს ასე ეგონებოდა კბილებს სულ არ აკარებს ისე პირდაპირ ყელში ისხამსო. ორი ჭიქის მეტს თავის დღეში არ დალევდა, ხოლო არც ნაკლებს. ტარასის ყველაფერში სასტიკი დისციპლინა უყვარდა. ერთი რამ რომ სხვაფრივ ვაეკეთებია, იმ დღეს ფრიად ნერვებ-აშლილი იყო. ისეთ უბრალო რამესაც კი აქცევდა ყურადღებას, როგორც ლოგინიდან ადგომაა. ტარისის ჩვეულებათ ჰქონდა უთუოდ მარჯვენა ფეხი უნდა გადმოედგა პირველად, თუ ოდესმე მოხდებოდა და მარჯვენის მაგიერ მარცხენას გადმოადგამდა იმ დღეს ის თავის ჭკუაზე აღარ იყო, ველარც საქმეს აკეთებდა რიგიანათ, შეცთომებს უშვებდა, ველარც თავის დროზე მოდიოდა სახლში, სადილსაც უგემურათ სჭამდა, ერთი სიტყვით ეს დღე მისთვის რაღაც არა ჩვეულებრივი დღე იყო, ასეთი დღეები წელიწადში ათიოდე გამორეოდა და მუდამ წითელი ყარანდაშით ჰქონდა ტარასის აღნიშნული კალენდრის ფურცლებზე.

ადგებოდა თუ არა ტარასი, უპირველეს ყოვლისა თავისი ჭრელი საბანი უნდა გაეფურთხა, შემდეგ ხელს გადაუსვამდა ზეწარს, დაადგებდა, საბანს,

რამდენჯერმე შეანჯღრევდა ბალიშს და დაალაგებდა. ტარასის ოთახში ყველაფერს წეს-რიგი და დისციპლინა ეტყობოდა. ოთახის შუა კედელთან მიდგმული ჰქონდა პატარა ხის ტახტი, ეს ტახტი ორ ვერცხლის მანათათ იყიდა ტარასიმ ბაზარში. თითქმის სამი წელიწადი გავიდა რაც ტახტი იყიდა, მაგრამ დისციპლინისა და კარგი მოვლის გამო თითქმის არაფერი ეტყობოდა, ისე გეგონებოდათ ეხლა უყიდიათ. რადგან ოთახში ბაღლინჯოებს დაებუდებიათ ტარასი კვირაში ორხელ გამოიტანდა თავის ტახტს, დაათვალიერებდა ყოველივე კუნჭულს, თუ სადმე ბაღლინჯოს ნახავდა იქ ნაფთს ჩაასხამდა. ლოგინს მზეს გაუფენდა და საღამოზე ისევ დაალაგებდა მხოლოდ ერთი ახირებული ზნე დასჩემდა ტარასის ტახტს, ერთი წლის შემდეგ რაღაც ხრინწიანი ხმა აუშვა და ბოლოს და ბოლოს ისეთი ჭრიალი დაიწყო, რომ ხანდისხან სიგიჟემდე მიჰყავდა ტარასი. ერთ ღამეს ისე აეშალა ნერვები, რომ შუაღამეზე წამოვარდა, დასტაცა ხელი და უნდა დაემტვრია, მაგრამ ჩქარა გონს მოვიდა. „შენ ხომ საყვარელი ტახტი ხარ, მე თუ მაქვს ლაპარაკის ნება, შენც გაქვს, იმღერე გენაცვალე“ ჩუმათ ჩაილაპარაკა ტარასიმ, ერთი ნაზათ გადაუსვა ხელი თავის ჭრიალა ტახტს, დააგო ლოგინი და ჩაწვა. ბოლოს და ბოლოს ისე შეეჩვია ტარასი თავის ტახტის ჭრიალს, რომ როცა სინესტისა, თუ სხვა რამეს გამო დაწოლის დროს ის არ გაიჭრიალებდა, ტარასი რამდენჯერმე მაგრათ გაექანებოდა და ხმას ამოაღებინებდა, მხოლოდ მერმე ჩაიძინებდა ტკბილათ თუ ტარასი შეეჩვია თავის ტახტის ჭრიალს, სამაგიეროთ ნერვები აეშალა მის დიასახლის. ის ის იქვე გვერდით მეორი ოთახში იძინებდა და არა ერთხელ და ორხელ შეუკურთხებია ტარასისთვის. ხანდისხან, შუაღამეზე, როცა დაღლილ დიასახლის ტკბილად ეძინა, მძინარე ტარასი შეინძრეოდა, გაიწვდიდა, ფეხებს და ისეთ მუზიკას დააკვრევინებდა, თავის ტახტს რომ მთელ სახლში პიანურიავით გაისმოდა. საბრალო დიასახლისი თვალებს დააკყეტდა და ისე გაუტყდებოდა ძილი, რომ ორ სამ საათს ტრიალებდა ლოგინში. რასაკვირველია ამ დროს სასტიკათ სწყევლიდა ის ტარასის, ტარასი კი ტკბილათ ხვრინავდა. საბედნიეროთ დილით, დიასახლისი ტარასიზე ადრე დგებოდა, თორემ გააგიჟებდა ტარასის ტახტის მუზიკა.

ერთი დაბალი, პატარა ოთახი ეჭირა ტარასის, თვეში სულ ხუთმეტ მანეთს აძლევდა სასმელ საჭმელში და ოთახში. ერთ კუთხეში ედგა პატარა მაგიდა, ზედ საწერ-კალამი და რამდენიმე წიგნი ელაგა, წიგნები უმთავრესათ უვნებელი შინაარსის იყო, რუსული ჟურნალი „ნივა“-ს დამატებები, ორი ძველი გაზეთი, ქართულ რუსული ლექსიკონი, სამღვთო სჯულის ისტორია და სხვა, ორი სკამი, კუთხეში გაკეთებული პატარა დამტვერიანებული ხატი, ჭრიალა ტახტი და დაჟანგებული პირისაბანი, სულ ეს შეადგენდა ტარასის ოთახის მორთულობას სცხოვრობდა ქალაქის განაპირა, რადგან შუაგულ ქალაქში ცხოვრების ნებას არ აძლევდა მისი მცირე ჯამაგირი, და არც უყვარდა მაინც და მაინც ხმაურობა და მოუსვენარი ცხოვრება. უფერული დღეები სულ ერთგვარათ მიმდინარეობდენ ტარასის ცხოვრებაში, ძნელათ გამოერეოდა წელიწადში ერთი ორი დღე, რომ რაღაც შემთხვევით გადაეხვია ყოველ დღიურ პროგრამისთვის. ასეთ დღეებში ტარასი თავის ჭკუაზე აღარ იყო, საშინლათ აეშლებოდა ნერვები, აღარც საჭმელს ჭქონდა გემო და აღარც ძილს, ყველაფერში ხელი ეშლებოდა. ასეთი დღეები იყო, როდესაც რაღაც შემთხვევით ვინმე თეატრში წაიყვანდა ტარასის, ან სტუმარი ესტუმრებოდა—უნდა გენახათ ტარასის უბედურობა როდესაც ვინმე ნათესავი ესტუმრებოდა სოფლიდან და ღამე დარჩებოდა მასთან. აბა მაშინ იყო მისი უბედურება. რადგან ერთი ტახტის მეტი არ ქონდა, ძალაუნებურად იატაკზე უნდა დაწოლილიყო და ტახტი სტუმრისთვის დაეთმო, მთელი ღამე თეთრათ გაათენებდა. ეხლა დილით სტუმრისთვის უნდა ეცადა სანამ ადგებოდა, მასთან ერთად უნდა მისხდომოდა სუფრას და ჩაი დაელია. სამსახურშიც დააგვიანდებოდა ხოლმე და საშინლათ ნერვებ აშლილი მირბოდა ერთფეროვან ცხოვრებას ისე შეეჩვია ტარასი, რომ მოგეკლათ ის ერჩივნა ვიდრე ამ ცხოვრებას დაურღვევდით. დილით ადრე მიდიოდა სამსახურში. მობრუნდებოდა სწორეთ ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე არც მეტი და არც ნაკლები, ძნელათ რომ ამაზე გვიან ან ადრე მოსულიყო, შესჭამდა სადილს, ერთ ნახევარ საათს სადილს შემდეგ, კიდევ იჯდა სუფრასთან ჩაფიქრებული, თან ნელის ხმით ღიღინებდა, შემდეგ წამოდგებოდა ხელს დაიბანდა, ტანისამოსზე ჩოთქს გაისვამდა რამდენჯერმე გადაფერთხდა თავის საყვარელ ლოგინს და წამოწვებოდა. ასე იწვა ორი საათი და ხან მეტი, თვალებით უაზროთ ჭერს მიაშტერებდა, რას ფიქრობდა ამ დროს ტარასი, რომ გეკითხნათ პასუხს ვერ მოგცემდათ, ეს არც თვითონ იცოდა. მის თავში, როგორც კალეიდესკოპში ათასგვარი ფიქრები ირეოდა რას არ ფიქრობდა საბრალო ტარასი, თითქოს ის მიდის ქუჩაში, უცბათ მოსახვევში იპოვნა ფულით გატენილი ქისა, დასტაცა ხელი და გამოქანდა შინ მაგრათ დაკეტა ოთახის კარები,

წამოწვა თავის ტახტზე და გახსნა ქისა, ოჰ რა ბედნიერებაა, შიგ რამდენიმე ათასი მანეთი ძევს ტარასის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ის ბედნიერია, მას ფულები აქვს, ახლა იმაზე დაიწყებდა ფიქრს, როგორ მოეწყო თავის ცხოვრება, დიასახლისს მისცეს მთელი წლის ფულს, ახალ კოსტიუმს იყიდის... აქ კი სწყდება ფიქრთა დენა, ამას იქით ტარასის გონებას აღარ შეეძლო ეფიქრა სხვა რამე, მას ვერ წარმოედგინა თუ კიდევ სხვა რამე იყო საჭირო ცხოვრებისათვის, თუ სხვაფრივ ცხოვრება შეიძლებოდა. თითქოს ის ძალზე შეყვარებულია—გაუელვებდა ეხლა სხვა ფიქრი ტარასის—ვილაც მისთვის დნება, სული ელევა. მისი სატრფო ნამდვილი მზეთუნახავია, ერთი მისი შეხედვა, ტარასის ნეტარებას ჰგვრის სატრფოსაც თავდავიწყებამდე უყვარს ის ისე დღე არ გაივლის, რომ ერთმანეთი არ ინახულონ აგერ თითქოს უცბად ის შევიდა ოთახში, ფეხ აკრეფით მიეპარა ტარასის და გადაეხვია. ტარასი თავს აქნევს და ფიქრებიდან ერკვევა. ასე ატარებდა დროს ტარასი, ფიქრებში გართული საღამოს ხუთ საათამდე ლოგინში იწვა. შემდეგ წამოდგებოდა, პირზე წყალს შეიშხაპუნებდა, დაანთებდა ლამპას და მიუჯდებოდა მაგიდას. კანტორიდან ხშირათ მოჰქონდა ტარასის საქმეები და სახლში აკეთებდა. იძინებდა ტარასი ათ საათზე მეორე დღეს სამსახურში მიდიოდა და ასე ყოველ დღე. ამ გვარათ გაატარა სამსახურში ტარასიმ ოცდაათი წელიწადი.

თვრამეტი წლის იყო ტარასი, როცა სასულიერო სასწავლებელი გაათავა, მამა მისი თევდორე ჭახრაკაძე ერთ მიყრუებულ სოფელში იყო მედავითნეთ. ოჯახში ძალიან ღარიბათ სცხოვრობდენ. ბევრი გაჭირვება გამოსცადა ტარასიმ სწავლის დროს ის იდგა უფროს მოწაფეებთან ცალკე ოთახში და საჭმელს თვითონ იკეთებდენ. როგორც ყველაზე უმცროსი ტ რასი ყველას დაჯაბნებული ჰყავდა. ხშირათ აცხობინებდენ მჭადს და აზიდვინებდენ წყალს და შეშა. პატარაობიდან ისეთი იყო ტარასი, რომ რაც უნდა გექნათ ხმას ვერ ამოაღებინებდი, ყველაფერს უხმოთ იტანდა. მამა სახლიდან უზიდავდა ფქვილს და ლობიოს, ხან დაკლულ ქათამს, ამ გვარათ იოლათ გამოდიოდენ ხარჯში და სწავლის ფულს კი არ იხდიდენ. ტარასი სწავლაშიაც დიდი მუყაითი იყო, მასწავლებლის სიტყვა მისთვის ჭეშმარიტება იყო. რომ ეთქვა მასწავლებელს ადი ხეზე და გადმოვარდიო გადმოვარდებოდა, რასაც უბრძანებდენ ან მოკვდებოდა და ან უთუოთ უნდა შეესრულებია დილით ვერავინ მიასწრობდა სასწავლებელში, უთუოდ ყველაზე ადრე უნდა მისულიყო ვაკვეთილის დროს ის თითქო ქანდაკებათ ისე იჯდა ერთ ადგილას და თვალებში უმზერდა მასწავლებელს ასეთივე მუყაითი და ბეჯითი იყო ის წირვა-ლოცვაზედაც, მთელი წელიწადები ისე გადიოდა, რომ ტარასი ერთს არც ლოცვას დააკლდებოდა და არც წირვას. შაბათს, გაკვეთილების შემდეგ, ტარასი ჩადიოდა იქვე ახლო მდინარეზე გაირეცხდა თავის ტილოს ბლუზა—შალვარს გაიშრობდა იქვე, და ასე მიდიოდა საღამოს ლოცვაზე. ეკლესიაში ტარასი ისე იქცეოდა, როგორაც იქცევიან ხოლმე მეტის მეტი ფანტიკოსები, უფრო მოუხშირებდა პირჯვრის წერას და მეტანიას, როცა ეკლესიაში შემოსულ სასწავლებლის ინსპექტორს მოჰკრავდა თვალს. სასწავლებლის მთავრობას საუკეთესო შეგირდათ მიაჩნდა ტარასი. ექვსი წლის შემდეგ ტარასიმ პირველ შეგირდათ გაათავა სასწავლებელი და სემინარიაში უნდა შესულიყო, მაგრამ რადგან მამა ძრიელ ხელმოკლეთ იყო და არ შეეძლო მისი შენახვა, აქ დაედვა საზღვარი მის განათლებას და ტარასი პირდაპირ ცხოვრების უღელში გაება. მამაძ ის მაინც წამოიყვანა ქალაქში ბევრი ეცადა, რომ როგორმე სახელმწიფო ხარჯზე მიეღებინებია, მაგრამ ვერას გახდა. მას ნაცნობები გამოუჩნდენ და ურჩიეს დროებით ტარასი სამსახურში მიეცა. თევდორე დასთანხმდა და ნაცნობების წყალობით ის მიიღეს სინოდალურ კანტორაში. თვეში ხუთმეტი მანეთი დაუნიშნეს ჯამაგირათ.

ამ დღიდან დაიწყო ტარასის გარდაქმნის ხანა, რამდენიმე წლის შემდეგ ლმობიერი და უწყინარი ტარასი გაცვეთილ და გაიძვერა მოხელეთ გარდაიქცა, ამ ხნის განმავლობაში ის მთლად გაიჟღინთა კანცელიარიის ატმოსფერით, სავსებით შეისისხლხორცა იქაური ზნე-ჩვეულება პირველად ტარასი, სანამ ჯერ კიდევ შერჩენოდა წინანდელი სული, სანამ სავსებით გაეცნობოდა იქაურ საქმეებს, მხოლოდ თავის საქმეს ასრულებდა სინდისიერათ, სხვა არავითარ საქმეში არ ერეოდა. მას მიუჩინეს ერთი მაგიდა, მიდიოდა დილით ადრე, ოთახში შესვლისას აქეთ იქეთ, თუ ვინმე იყო, მოწიწებით თავს დაუკრავდა ყველას, მიუჯდებოდა თავის მაგიდას და აწრიპინებდა კალამს, ვისაც უნდა მიეწოდებია საქმე და რამდენიც ის უთუოთ დანიშნულ ვადამდე გაკეთებდა. სანამ სამი საათი არ გახდებოდა ტარასი ადგილიდან არ დაიძროდა. გარეშე მისულ ხალხს, რაც შეეძლო დროზე უსრულებდა საქმეს. ორმოცი წლის განმავლობაში ტარასის ჯამაგირი 50 მანეთამდე ავიდა იმას კი აღარ ასკილებია და საქმის მწარმოებლის თანაშემწის თანამდებობის ზევით აღარც წასულა, ეს იყო მისი სამსახურის უკანასკნელი საფეხური. სამაგიეროთ ამ ხნის განმავ-

ლობაში ტარასიმ სავსებით შეიგნო და შეითვისა იმ უხილავი ძალის თვისება, რომელიც იქაურ გაცვეთილ და უფულო მოხელეებს ფულიანებათ ხდიდა. ტარასიმ მალე შეიგნო ქრთამის სიტკბოება და სავსებით, სინდისს დამშვიდებული დაეწაფა მას. საზოგადოთ ასეთი ჩვეულება იყო ამ კანცელარიაში. შეუცთებოდა თუ არა ფეხი ვინმე გარეშეს აქეთ იქით მსხდომი მოხელები, მივიდოდა თუ არა საქმისთვის ჯერ დაიწყებდა ლაპარაკს, გააძნელებდა საქმეს, შემდეგ, თუმც პირდაპირ, არა, მაგრამ ნათლათ აგრძნობინებდა მთხოვნელს, რომ ფული უნდოდა მთხოვნელიც ჩუმათ აცოცებდა ხელში რამდენიც შეეძლო, ხუ ათი. ოცი, მხოლოდ სამ მანეთზე ნაკლები კი არა. ხშირათ მოხდებოდა, რომ ტარასი ორ მოწინააღმდეგე მხარედან იღებდა ქრთამს ორივეს ეგონა საქმეს უკეთებდა, მაგრამ ნამდვილათ კი არც ერთს. ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონდა ტარასის, წერის დროს, ხშირათ თვალები გაუშტერდა და სალოკი თითით ცხვირს იწმენდდა, ცხვირიდან გამოღებულ თითს ტუჩებზე მიიდებდა და შემდეგ ისევ ცხვირში შეჰქონდა, ასე აცანცარებდა ხელს, მანამდე, სანამ ვინმე არ გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდან. ეს ძლიერ არ მოსწონდათ როგორც მოსამსახურეებს, ის მთხოვნელებს, მაგრამ ვერას გზით ვერ მოიშალა. უცხო ვინმეს ისე აცნობდენ: აი ცხვირში რომ თითი აქვს იმ კაცთან მიდიო და ყველა ადვილად გაიგებდა.

ოცდა ათი წლის განმავლობაში ტარასიმ ორი დიდი შეცდომა დაუშვა, რამაც ღრმა, წაუშლელი კვალი დასტოვა მის ცხოვრებაში: ერთი—უმიდო სიყვარული, რაც დიდის სულდგმულობით გადაიტანა მან და მეორე—სიყალბის ჩადენა, რისთვისაც პასუხის გებაში მისცეს და ადგილიდან დაითხოვეს.

საზოგადოთ ტარასი მეტათ მორცხვი და თავდაჭერილი კაცი იყო, უმეტესათ ქალებთან. როცა ქალების საზოგადოებაში მოხვდებოდა, რაც არ იყო ხშირი, ტარასის თითქო ენა ერთმეოდა, ხან წითლდებოდა და ხან ყვითლდებოდა, მორცხვ პატარძალივით. როცა სხვა ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი მხიარულობდენ და ათასგვარ ქათინაურებს სტყორცნიდენ ერთი მეორეს, ტარასი გაჩუმებული იჯდა და მხოლოდ ხანდახან გაიღიმებოდა თავისთვის სიამოვნების ნიშნათ. ტარასი მხოლოდ თავის ლოგინზე გაწოლილი ეძლეოდა ნეტარებას, ოცნებით სტკბებოდა, ოცნებით ეალერსებოდა ამა თუ იმ ლამაზ ქალს. ასე მიდიოდა დღეები. შეიძლება მის ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარიყო, რომ ერთ უბრალო შემთხვევას არ დაებნია მისთვის დავთარი და მისი ცხოვრება არ აეფორიაქებია.

ტარასის აჩემებული ჰქონდა ერთი ქუჩა, თავი რომ მოგეჭრათ სხვა ქუჩით არ წავიდოდა სამსახურში. ერთ ორშაბათ დილით, ტარასი ჩვეულებრივათ ადრე წავიდა სამსახურში. მიდიოდა ერთი მხრით ქვაფენილზე. ჩვეულება ჰქონდა არც იქით მიიხედავდა და არც აქეთ ისე გაჩქარებით მიდიოდა. ამ დღეს, გაუსწორდა თუ არა ერთ ორ სართულიან სახლს, რაღაც უხილავმა ძალამ თავი ააღებინა, ეხლაც ვერ გამორკვეულა ტარასი რატომ მოხდა ეს. რა ეშმაკი და ქაჯი იყო, რომ გაახედა. ტარასიმ ქვედა სართულის ერთ სარკმელს შეხედა და გაქვავდა. გაღებულ სარკმელში ნახევრათ გადმოწოლილიყო მშვენიერი ასული, ახლათ დავარცხნილი, სველი თმა მხრებზე გადმოჰფენოდა, საკინძი გახსნილი ჰქონდა და იქიდან მოსჩანდა მისი ბროლივით თეთრი კისერი. ლამაზმა გოგომ რაღაც ისე სიყვარულით გაუღიმა ტარასის, რომ მას რეტი დაესხა, კინაღამ წაიქცა. მან ნაბიჯს მოუჩქარა და თუმც თავს იმაგრებდა, მაგრამ ერთხელ კიდევ მოიხედა, გულზე ისევ ის ღიმილი მოხვდა ლახვარივით. ამ დღეს ტარისი აღარ იყო თავის ჭკუაზე, ველარც პასუხს აძლევდა ვერავის და ვერც საქმეს აკეთებდა. ყველანი გაოცებულნი იყვენ და ვერ გამოერკვიათ რა მოხდა, რა მოუვიდა. ბოლოს გადასწყვიტეს რომ ტარასი ავათ იყო და სიცხე ჰქონდა და სახლში დაითხოვა უფროსმა. ის დარეტიანებული მივიდა შინ, ველარც საქმელი სჭამა და ისე დაეგდო ლოგინზე, მთელი დღე იწვა პირ აღმა და თვალ წინ მხოლოდ მშვენიერი არსების მოღიმარე სახე ედგა. ამ დღიდან დაირღვა ტარასის მყუდრო ცხოვრება.

ირეთელი.

(დასასრული იქნება).

ნ ა ტ ვ რ ა.

ახ, რომ შემეძლოს გარდავიქცე ცქვიტსა ნიავათ,
სულის სილაღეე, მსწრაფლს გამოვსწევ შენსკენ
სრბოლითა,
გიშრის კულულებს გადვივარცხნი სათუთათ, ნაზათ,
ბროლ ფიქალ ყელზე მოგეხვევი ცახცახ-თრთოლითა.

—

ახ, რომ გარდვიქცე ფირუზ ზეცის წმინდა ნამცვრებათ
ვარდის ბუჩქებზე მოგეფრქვევი წრფელი კრთოლითა,
შენს გიშრის თვალთგან ჩაისრული ტრფობის სხივებით
ზედ დავაკვდები ნეტარების კანკალ-ჟრჟოლითა.

—

ახ, რომ გარდგიქცე ფრთოსანთ მეფე მგოსან
ბულბულათ
შენს სარკმლისა წინ ყვავილთ ბუჩქში ჩავსაფრდე-
ბოდი,
ხან დაუსტვენდი უცხო ლექსებს ძილის პირულათ,
ხანაც ალმტაცის კრიმანჭულით ავჩქამდებოდი.

—

ახ, რომ გარდვიქცე... მიგრამ ნატვრა ნატვრათვე
რჩება...
კვლავ ძველებურათ ცხრა მთითა ვარ დაშორებუ-
ლი,
უშენობითა სული კვნესის... გული ღონდება...
და ცრემლთა ტბაში მიმოვცურავ აჩქურებული.

დ. თურდოხარელი.



ბედშავი დღე

(ამშავი გურიის ცხოვრებიდან).

(დასასრული. იხ. «სალ.» № 9.)

II

კვირა დღე იყო. სოფლის სასამართლოს ეზოში კანტი კუნტათ თავს იყრიდენ გლეხები. აქა იქ ჯგუფ ჯგუფათ შეყრილიყვენ, სხვების მოლოდინში ყალიონს აბოლებდენ და ბჭობდენ სხვა და სხვა დღიურ ჭირ-ვარამის შესახებ. ამ დღეს დანიშნული იყო სოფლის ყრილობა. უნდა მობრძანებულიყო ბოქაული. შუადღეზე უკვე გადავიდა, არც ბოქაული სჩანდა და არც ხალხი იყრიდა თავს. მოსულ გლეხებს მოუთმენლობა დაეტყო. აქა-იქ სა ყვედურიც გაისმა. არ-გასულა დიდი ხანი, რომ ცხენების თქარა-თქურით მოიჭრა ბოქაული თავის დარაჯებით. წამოწითლებული სახე ამტკიცებდა, რომ სადღაც სამიკიტნოში ლაზათიანათ გადაეკრა. სწრაფათ გადმოხტა ცხენიდან, ავიდა სასამართლოს აივანზე, გადმოადგა ხალხს და მრისხანეთ დაიყვირა:

— სად არის ყრილობა?—ყრილობა სად არის მეთქი? არავინ ხმას არ იღებდა. ბოლოს ისევ ონისიმეს მეზობელმა, პეტრე ღარიბაძემ, დაარღვია სიჩუმე:

— ა ბატონო ყრილობა! აბა რა არის დილას აქეთ აქ.. პეტრემ უკანასკნელი სიტყვები ველარ დაათავა, რომ ბოქაული აივნიდან გადმოფრინდა, სახეში მათრახი სთხლიშა და პეტრეს თოვლივით თეთრი წვერები სისხლში შეღება. .

— რას ერჩით, ბატონო, მაგ საწყალ მოხუცს? —ველარ მოითმინა ონისიმემ. სხვები კი ისე სდუმდენ თითქოს აქ არაფერიაო. ბოქაულმა ონისიმეს ველარ დაარტყა, რამაც ყველა გააოცა; მხოლოთ ბრძანება გასცა პეტრეც და ონისიმეც დაეტუსაღებიათ. რაც მაშინვე ასრულებულ იქმნა. ამის შემდეგ ბოქაულმა მწერალს ვადაკითხვინა ხალხისა და ვინც ყრილობიდან წასულიყო, ან ვერ მოვიდა რაიმე მიზეზ-ს გამო ყველა თითო მანეთით დააჯარიმა ბოლოს გიმოუცხადა ხალხს:

— ამ დღეებში აქ გაუვლია ავაზაკს, გესმით ავაზაკს. თუ იგი არ დამიჭირეთ და არ მომიყვანეთ ეგზეკუციას ჩამოგიყენებთ. თქვენ კიდევ არ იშლით „ახალ თაობას“! მე თქვენ გიჩვენებთ თქვენ მამაძ... მათრახით დაემუქრა ხალხს ბოქაული და მოახტა ცხენს—მაგი ბუნტოვჩიკები (ონისიმე და პეტრე) ციხესტაკაში მომგვარეთ ბრძანა და გაქუსლა.

ბოქაულმა მეორე დღეს პეტრე და ონისიმე დარაჯების თანხლებით მაზრის უფროსს გაუგზავნა და თან სთხოვა: როგორც მთავრობის მოწინააღმდეგენი, სასტიკათ დაესაჯა. რაპორტის ტექსტი მწერალმა ქვეშქვეშაძემ შეადგინა...

კარგი დახმარებით, როგორც იყო ონისიმე გადასახლებას გადარჩა, ხოლო პეტრეს კი მაზრის უფროსმა აპატია დანაშაულობა და ერთი კვირის შემდეგ გაანთავისუფლა.

ყველა ამან და მასთან ცხოვრების ეკონომიურმა პირობებმა, აიძულა ონისიმე მოწორებოდა სოფელს. მას სურვილი აუსრულდა და სამუშაოდ ალაგი იშოვნა თავად ნესტორ ფხიანიძის ხეტყის ქარხანაში. ასე დაიწყო ონისიმეს ცხოვრება.

III

თავადმა ნესტორ ფხიანიძემ სადგურ ჭაობეთის მახლობლათ გააკეთა თავისი ქარხანა. წინათ აქ გაუვალი ტყე იყო, სადაც მხოლოთ ბუდობდენ გარეული ღორები და ხხვა ნადირები. ადამიანი ძნელათ თუ გაივლიდა და ისიც სანადიროთ. ეხლა აი ამ გაუვალ ადგილს სიცოცხლე სდუღდა და გადადუღდა. ღრანტე ტყიდან წამ და უწუმ ისმოდა ცულების და წაქცეულ ხეების ხმა. ქარხანაში სხვა და სხვა მანქანებს რახრახი გაუდიოდათ. ლუკმა პურისთვის გადმოხვეწილი ადამიანები შეუსვენებლათ მუშაობდენ. ზოგი ხერხავდა, ზოგს დახერხილი ფიცრები გაჰქონდა, ზოგს მოჭრილი ხე გამოჰქონდა ტყიდან. შრომობდნენ ადამიანები და თავიანთ სიმწრის ოფლს აწვეთებდნენ თავად ნესტორის ქარხანაში.

აი, ამ ქარხანაში იშოვა ონისიმემ ალაგი. ჭკვიანი, ზრდილობიანი, და მასთან გამბედავი სიტყვა-პასუხიანი ონისიმე, თ-დ ფხიანიძეს ძალიან მოეწონა. მას არ უყვარდა ზოგიერთ თავადებივით კარტ-ნარდის თამაში, ლოთობა და არში-

ყობა. თუმცა ახალ გაზრდობაში ისიც ზოგიერთებივით მუქთა მჭამელა, აყალ-მაყალის მოყვარული კარტოფნიკი „კნიაზი“ იყო და როგორც ასეთი ღარიბულათაც ცხოვრობდა, მაგრამ ჭკვიანმა ცოლმა ის სულ სხვა გზაზე დააყენა და წალმა დააბრუნა მისი ცხოვრების ბორბალი.

თავადის ცოლი ჭკვიანი და შეგნებული ქალი იყო. მას არ მოსწონდა თავის ქმრის ფუქსავატი ცხოვრება და მოთმინებიდან გამოსულმა ერთ დღეს ,ატეგორიულათ გამოუცხადა, რომ თავს დაანებებდა, თუ სხვა ცხოვრებას მოჰკიდებდა ხელს. ნესტორმა აღუთქვა ცოლს დაანებებდა თავს ძველ ადათ ჩვეულებას. ერთხან ვითომ თავს იმაგრებდა, მაგრამ ბოლოს ისევ მიჰყო ხელი. ეს კი ვეღარ მოითმინა ცოლმა, დაიბარა მშობლები და ის იყო უნდა გაყოდა ქმარს, რომ ნესტორ ფხიანიძემ უკანასკნელათ შეფიცა ასრულებდა მის სიტყვას და ხმალ-ხანჯალიც მას გადასცა.

იმ დღიდან ის იწყებს ნამდვილ ცხოვრებას, ის არ თაკლობდა ყანაში თოხით მუშაობს, ურმის გაყოლას, მევენახეობას და სხვ ერთხელ ასეთი შემთხვევაც იყო: თ-ს მჭადი შემოაკლდა და არავინ არ ასესხა.—გემუშავა და გექნებოდაო,—ეჰასუხეს მას. ნესტორმა გადასწყვიტა როგორათაც დასჯდომოდა გამდიდრებულიყო, მარა ყანის მუშაობით რომ გამდიდრება არ შეიძლებოდა, ისიც კარგათ იცოდა. მარტო თავისი შრომით, რომ ვინმე გამდიდრებულიყო, ეხლა ყველა ჩემი მეზობლები მდიდრები იქნებოდაო,—ამბობდა თავადი. ის ცდილობდა რამე საიჯარადრო საქმე აეღო. სურვილიც აუსრულდა. აიღო მოსაკენჭათ რამდენიმე ვერსი გზა, სადაც მის ხარებს გარდა, ათ ურემს კიდევ სხვას ამუშავებდა. რამდენიმე თვის განმავლობაში აქ საკმაო მოსაგები ნახა. შემდეგ ბოჭკის ხეების მოიჯარადრობას მოჰკიდა ხელი და ორ სამ წელიწადს ამას მუშაობდა. დააზღვია ცოლის ნამზითვი სახლი და დასწვა, აქედან რამოდენიმე ათასი მანეთი ჩაიჯიბა. ააგო ქალაქში სახლები, გააშენა ვენახები, გაიჩინა კრედიტი ბანკებში, იყიდა ტყეები, გამართა შიგ ხერხის მანქანა სადაც ასი ათასი მანეთის კაპიტალი დახარჯა მისი თუ სხვისი მარა ამ ოთხი ხუთი წლის მუშაობით, თავნი თითქმის ამოიგო. ამნაირად, გუშინდელი მოქეიფე თავადი დღეს კაპიტალისტთა სიაში ჩაეწერა.

თ. ფხიანიძე ისე გაიტაცა გამდიდრების სურვილმა, რომ ღვიძლი ძმაც კი არ დაინდო და ვალში უკანასკნელი მამული აუწერა და საჯარო ვაჭრობით უყიდა... ვერ გასჭრა ვერავითარმა ხვეწნა-მუდარამ.. ამ დროს შიგ სამჯავროში, აღელვებულმა ძმამ, რევოლვერი დაახალა მას! მარა თ-დი სიკვდილს გადარჩა, რადგანაც ის მსუბუქათ დაიჭრა.

ამ რიგათ, მისი კაპიტალი, ზედმეტი შრომის მითვისებით ნელ-ნელა იზრდებოდა.

ეს თავადმაც კარგათ იცოდა და ამიტომ მუშას დაქირავების დროს ძალიანს არჩევდა. მოხუცს ან მეტის მეტ ახალგაზრდას ის სამუშაოთ არ მიიღებდა. თუ რომელიმე მუშის მუშაობა არ მოეწონებოდა ან სისუსტეს და ავადმყოფობას შესწამებდა მაშინვე გაუშვებდა. რადგანაც იცოდა ასეთი მუშა ზედმეტ ღირებულებას ვერ შექმნიდა, ანუ იმაზე მეტს ვერ გააკეთებდა რასაც თითონ წაიღებდა.

— ბიჭო! შენ ვინ დაგაყენა აქ?—მიმართა ერთხელ მან ერთ ჩაფლეთილ მუშას, რომელიც ქარხნიდან ნაკიდურა ფიცრებს ეზიდებოდა.

— თქვენმა მოურავმა ბატონო - მიუგო მუშამ.

თავადმა მაშინვე სვისტოკი დაუკრა. ის მოსამსახურეებს ყოველთვის სვისტოკით უძახოდა. მოურავიც მოვიდა.

— აი ბიჭი შენ დააყენე?

— დიახ.

— მერე რატომ?

— იმუშავებს მადლია, ხომ ხედავთ როგორ ჩაღლეტილია!

— შენ სულელო მაგი ჩაღლეტილი მიტომ არის, რომ გლახაა, ჩობანოა... მაგი, სოფელში ჩემს მეზობლათ დგას. სხვები რომ ყანას თოხავს მაშინ მაგი თესავს. არ ვარგა ძმაო არა, გაუშვი ეხლავეო.—მოურავმა მუშას ანგარიში გაუსწორა.

— რა ამბავია კნიაზო ამდენს, რომ გვამუშავებთ და ასე ცოტა ქირას გვაძლევთ, ახალთაობა რომ იყო მაშინ ხომ რვაი საათის მეტს ვერ გვამუშავებდით და ქირაც მეტი გვქონდაო - უთხრა ერთხელ ერთმა სხვაზე უფრო გამბედავმა, მუშამ, რომელმაც იცოდა რომ მას გაბედული ლაპარაკი არ ეწყინებოდა.

— ეს იმის ბრალია ჩემო ბიძია, რომ თქვენ ახალთაობა ვერ მეიხმარეთ. ვინ გეიგონა თქვენი ახალთაობა და თავისუფლება „მუტაკიე“ ყაძახების. ყველა ერთი მეორის მტერი და მოღალატე ხართ. თანხმობა თქვენში არაა და არაფერი. სულელებია ისინი თქვენი გულიზა, რომ ციხეებში ლპებიან და ცივ ქვეყნებში მიდიან. თქვენს თავში კიდევ დიდხანს არაფერი არ შევა. თქვენ ახლთაობის ღირსი არა ხართ გქონდათ და ვერ მეიხმარეთ. რა თქმა უნდა თქვენ, რომ რვაი საათის მეტი იმუშაოთ მე არაფერი არ შემიძლია, მარა რაკი თქვენში ერთობა არ არის, მე ხომ გიჟი არა ვარ არ ვისარგებლო თქვენი უთანხმოებით. თქვენ ხომ გინდათ ცოტა

იმუშაოთ და ბევრი შრომის ქირა აიღოთ? მე კი მინდა ბევრი გამუშაოთ და ცოტა შრომის ქირა მოგცეთ, რაც მართალია მართალიაო — დაუფარავათ ეუბნებოდა ფხიანიძე თავის მუშებს.

ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო: ერთმა მუშამ მოჭრილ ხეს ვერ გაასწრო და წელზე დაეცა. — „ვაიმე შვილებოვო“ ძლივს მოასწრო საბრალომ და სული დალია. ამ დროს თავადი ქარხანაში იყო და მუშის სიკვდილი მოახსენეს

— აკი ვამბობ სულელები ხართ მეთქი — უკმაყოფილოთ სთქვა თავადმა როგორ არ იცით წასაქცევ ხის ძირში გაჩერება, რომ არ შეიძლება! მუშაობა არ შეაჩეროთ, ეხლავე დაიქირავეთ მაგიერი მუშა! ვაგზალში ყრილარიენ რამდენიც გინდა — უთხრა მან მოურავს და სადგურში წავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ უდარდელ თავადს მატარებელი პირველი კლასით თფილისისაკენ მიაქროლებდა, ხოლო მისი მუშა კი, რომელიც ხემ გაჭყლიტა, ერთ მის მეზობელს ურმით მიქონდა სახლში თავის წვრილ ცოლშვილთან...

ცნობილ ქარხანაში ონისიმემ სამი წელიწადი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში გამუდმებულმა შრომამ, ჭაობიან ალაგას ხმმთარ-ზაფხულ ცხოვრებამ და ცუდმა საჭმელ-სასმელმა მას თავისი დაღი დაასვა

— გაწყენს ამდენი შრომა, აწი პაწაი, რომ შეისვენო აფერი გვიპირსო — ეუბნებოდა მარო ონისიმეს, როცა ხანდისხან თვეში ერთხელ კვირაობით ამოირბენდა და ოჯახს დახედავდა, სახარჯო ფულს დატოვებდა განკარგულებას მოახდენდა და ისევ ქარხანაში მიეჩქარებოდა.

— ცოტა ხანს კიდევ მევიცთი, უკეთესი ალაგის შოვნა ძნელია. ერთი იმ ბიჭმა კლასი გაათავოს ბარემ და მერე რაც იქნება არ ვჩივი. მეც დამღალა ამდენმა მოუსვენარმა შრომამო — მიუგებდა ცოლს ონისიმე.

სულ ათი დღის წარსული არ იყო ონისიმე, ავათმყოფი მეზობლებმა, რომ სახლში მოიყვანეს. ის მუშაობის შემდეგ ერთ ბედშავ დღეს ნაოფლარზე, უცეცხლო „კონახში“ დაწოლილიყო და გაციებულიყო ონისიმემ თავს არ დაუჯერა და მეორე დღესაც იმუშავა, რამაც კიდევ უარესი გავლენა იქონია მის დასუსტებულ ფილტვებზე, სიცხე მისცა და ბოდვა დააწყებინა მეზობლებმა, რამდენიმე დღის შემდეგ ონისიმე ეტლში ჩასვეს და სახლში წაიყვანეს. დეკემბრის სუსხიანმა ცივმა ჰაერმა კიდევ უფრო დაასუსტა ონისიმე და როცა სახლში მიიყვანეს ცოლშვილი აღარ უცვნია...

ორი დღის შემდეგ, გულ-შემზარავმა წვიმილ-კივილმა აცნობა ს. ბუკანეთის მცხოვრებთ, ონისიმეს საუკუნოთ დაკარგვა. რამაც ყველას გული დასწყვიტა ..

ბედშავ დღეს შეჰყო ონისიმემ თავი ქარხანაში და ბედშავათაც დასრულდა მისი ტანჯული ცხოვრება. შრომის შვილს შრომაში ამოხდა ტანჯული სული. ის ერთხელ წელში არ გამართულა და თავ-სუფლება არ უგრძვნია.

ხ. რემონიძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატოვცემულ ჟურნალ „სალამური“-ს № 7 დაბეჭდილია წერილი ბორჯომიდან ვიღაც „რაჰველ მოსიაშვილისა“. რადგან ის მე ბრალსა მდებს და რაღაც ანგარიშებსა მთხოვს, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემ წერილს. იგი ბძანებს, რომ ვითომ მე და ხოტივარს მიგვითვისებია, 70 მ., შეგროვილი სამკითხველოს სასარგებლოდ და კიდევ ვითომ მე და ვიღაც ინიციატორები (რატომ არ დაასახელა ბ. კორესპონდენტმა ეს ინიციატორები) ვიღებდით სასწორის შემოსავალს 100 მ. წელიწადში სამკითხველოს სასარგებლოთ და რომ ეს ფული დღეს ჩემ განკარგულებაშია და მე ეკკლესიას ვახმარ.

ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა და ცილის წამება და ბორჯომში მცხოვრებელ-ათვის გაუგებარი და გასაკვირველია, თუ საიდგან და ვისგან შეკრიბა კორესპ. ეს ცნობა

ჯერ ერთი რომ მე არავითარი კავშირი და არც არაფერი საქმე არასოდეს არ მქონია და არცა მაქვს ბატონ ხოტევართან, არც ის ვიცი დღეს სად არის იგი და არც ის ვიცი ვინ გადასცა მას ფული და რამდენი გადასცა. მეც საკითხავად მაქვს ის გარემოება, რომ ამ ექვსი წლის წინად ფული მოგროვდა სამკითხველოს დასაარსებლად ბორჯომში და ნეტავ ვიცოდე ვის აქვს ის ფული? არ ვიცი და გამკვირვებია მე რა ანგარიშსა მთხოვს ბ. კორესპონდენტი?

მეორე ის, რომ სასწორის შემოსავალი არასოდეს არც ყოფილა დანიშნული და გადადებული სამკითხველოს სასარგებლოდ და არც არის და არც ჩემ განკარგულებაშია სასწორი და მისი შემოსავალი, ბავშვებმაც კი იცის ბორჯომში. სასწორი მისცა ბორჯომის საზოგადოებას ბორჯომის მამულის გამგემ. ამ სასწორს და მის შემოსავალს განაგებს ბორჯომის საზოგადოება და არა მე სამი წელიწადია (ჯერ სად იყო დაარსებული სამკითხველო) მას აქვთ, რაც ბორჯომის საზოგადოებამ, მამულის გამგის ნებართვით, სასწორის შემოსავალი გადასდო ეკლესიის ღამის ყარაულის შესანახად წელიწადში 100 მ. სხვა დანიშნულება ამ სასწორის შემოსავალს არც ქონია და არც დღეს აქვს. ჩემ ხელში არც ყოფილა ფული და არც არის. ფულს ღებდა ღ-

მის ყარაული პირდაპირ მოიჯარადრიდან. მე მხოლოდ ყარაულს, როცა დაუგვიანებდენ ჯამაგირს და დროზედ არ მისცემდნენ ფულს, ვეხმარებოდი ხოლმე მისი თხოვნით ფულის აღებაში. ამ საქმეს განაგებენ საზოგადოებისაგან არჩეული კაცები, მათში უმთავრესია ბ ლაზარე ბეროზაშვილი რომელიც აძლევს ჯამაგირს ყარაულს თვე და თვე.

ბლაღოჩინი მღვდელი იოაკიმე (იაკინთე) გორგაძე.

ბ ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ ჟურნალ „სალამური“-ს მახლობელ ნომერში შემდეგსა: „სალამური“-ს მეცხრე ნომერში ბ ნი ნაღარა სხვათა შორის ჩემს პიროვნებას ეხება და ირონიულად დამცინის. ვერ გამიგია თუ რა აქვს ნაღარას სახეში, როდესაც ტყუილ უბრალოთ ჩემს პიროვნებას შეურაცყოფს.

რაც ქ. ქუთაისში შარშან ბ-ნ ვ გუნიას რეჟისორობით და წელს მ. ქორიძისა—სეზონი გაიხსნა, მე სცენაზედაც არ გამოვსულვარ, რო რაიმე შეცდომა დამეშვა ჩემი „უხეირო“ თამაშით. რით შეეძლო ბ-ნ ნაღარას ჩემი ნიჭის დაფასება*).

ამისთვის რო ჩემი პიროვნება აგრე შელახული არ დარჩეს, სიმართლის გამოსაშკარავებლად საჭიროთ მიმაჩნია მოვთხოვო ბატონ ნაღარას თავისი დანაშაული გაასწოროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვ გამომყვეს სამედიატორო სამართალში. მედიატორეებს შემდეგ დავასახელებთ.

გრიგოლ ჩარკვიანი.

«სალამურის» ფოსტა.

ტფილისი. ალ. ჩახუნაშვილს. თქვენ მიერ „მიცვალებულთან მინაძღვნი“ პოეტური აღმაფრენა ვერ მოთავსდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, რადგან მეტათ მგრძნობიარეთ არის დაწერილი და ვშიშობთ მიცვალებულები საფლავიდან არ ამოხტენ.

ტფილისი გ ონჭიქეთელს. „ვერ ახვალ ვერა“—ვერ დაიბეჭდება ვერა.

დ. სამტრედიან. — პოლისინეს ნათლულს. თქვენი „ზამთარი“ საუცხოოა, მაგრამ რადგან ეხლა ‚ზაზაფხული იწყება ვერ მოახდენს მკითხველებზე ჯეროვან შთაბეჭდილებას და ამიტომ არ ვბეჭდავთ.

*) ტყუილათ ‚ცხარობს ბ-ნი ჩარკვიანი, ნიჭის დაფასება ასე ადვილი საქმე ან არის, ამისთვის საჭიროა ექსპერტები. მათი მოწმეები ორივე მხარის სურვილზეა დამოკიდებული.

რედაქცია.

ქ. ოზურგეთი — ლ ი ლ ი ა ს ტ ს — სამწუხაროა თქვენი „სატრფოს“ დაკარგვა. ძნელი გამოსაცნობია რომელ „ხიდზე გავიდოდა, ან საით წავიდოდა“. ეძებეთ და იქნებ იპოვნოთ.

ქ. ბათუმი.—პ დ ე ი ს ა ძ ე ს. - თქვენი „გულის მრევა“ არ დაიბეჭდება თუმცა, როგორც თქვენ იწერებით სამი წელიწადია სწერთ, მაგრამ ჯერ პოეტობასთან შორს ხართ. თუ ძალიან გსურთ პოეტი გახდეთ, გამოუგზავნეთ თქვენი „სამი წლის ნაღვაწლი“ „სინათლეს“ და თანაც სტრიქონზე თითო კაპეიკი გამოაყოლეთ.

სადმე.—ი. ჭ ე ლ ი ძ ე ს. თქვენი „ფიქრები“ მეტათ გულის ამრევია და ამიტომ ვერ ვბეჭდავთ

ქუთაისი - პავლე მ ო ს ე შ ვ ი ლ ს— თქვენი „ღვთისადმი ვედრება“ ჟურნალში დასაბეჭდათ არა და ამ დიდ მარხვაში ლოცვათ შეიძლება გამოდგეს. ამიტომ უმჯობესია რომელიმე სოფლელ დიაკონს გარდასცეთ.

დ. სამტრედიან.—ს. ს ა მ ტ რ ე დ ი ე ლ ს.

„მიყვარს ერთი ვინმე, რამე
კარგია და მშვენიერი
არშიყებიც ბევრი ყავს
ჩემისთანა სულ სულ ბევრი“.

გვიკვირს როგორ ეტრფით ისეთ ვინმეს, რომელსაც თქვენისთანა მოარშიყე კიდევ ბევრი ჰყოლია. ცოტა არ აყოს უხერხულათ ვსცნობთ ასეთ ლექსის დაბეჭდვას.

იყიდება

ძლიერ დაკლებულ ფასებში

შემდეგი გამოცემანი:

1) „ეშმაკის მთრახი“ 1908 წლისა. (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში - 1 მან. 75 კ.; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიმატება—50 კ

2) „მათრახ-სალამური“ 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი - იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) „ეშმაკის მთრახი“ 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)—1 მ.; გაგზავნათ 1—20.

4) „ალმანახები“ 1909 წელში გამოცემული: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეშმაკის მათრახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს.

მისამართი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.